

TBILISI I. JAVAKHISHVILI STATE UNIVERSITY

RESEARCH CENTRE OF THE HISTORY OF GEORGIAN STATE
AND POPULAR DIPLOMACY

GEORGIAN DIPLOMACY

ANNUAL

5

Editor-in-Chief

ROIN METREVELI

EDITORIAL BOARD: G. Bolotashvili,
I. Gogolashvili (Secretary), I. Tevdorashvili,
M. Lordkipanidze, G. Saliashvili (Assistant
Editor-in-Chief) G. Djaparidze

TBILISI 1998

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ქართული დიპლომატიის

წელიწადური

5

მთავარი რედაქტორი

როინ მეტრეველი

სარედაქციო კოლეგია: გ. ბოლოთაშ-
ვილი, ი. გოგოლაშვილი (მდივანი), ი. თევ-
დორაშვილი, მ. ლორთქიფანიძე, გ. სალიაშ-
ვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე),
გ. ჯაფარიძე

თბილისი 1998

66.49
ქ 279

„ქართული დიპლომატიის“ წელიწდეულის მეხუთე ტომი მოცულობით ყველაზე დიდია აქამდე გამოცემულ კრებულებს შორის, მასში გაშუქებულია საქართველოს საერთაშორისო დიპლომატიური ურთიერთობები მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან უძველესი დროიდან დღემდე, საინტერესოაა წარმოჩენილი საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე თეორიული საკითხები.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

Volume V of the “Georgian Diplomacy” annual – the largest in size as compared to the preceding volumes – sheds light on Georgia’s international diplomatic relations with many countries of the world since ancient times to the present day. Topical theoretical questions of today are presented in an interesting way.

The book is designed for specialists and general readership.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998
TBILISI UNIVERSITY PRESS, 1998

0503000000
608(06)-98

ISBN 99928-56-57-2

დავით მუსხელიშვილი

კავკასიური პოლიტიკა შუა საუკუნეების საქართველოში (XIII საუკუნეამდე)

მას შემდეგ, რაც ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში და მეორე ნახევარში ამიერკავკასიის ტერიტორიაზე, ხანგრძლივი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-ეთნიკური ევოლუციის შედეგად, ჩამოყალიბდა ოთხი სახელმწიფო: კოლხეთი, ივერია, სომხეთი და ალვანეთი, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა საკითხი მათ შორის პოლიტიკური ურთიერთობის განვითარებისა და მთელი კავკასიის, როგორც ერთიანი რეგიონის, შიგნით თითოეული მათგანის მომავალი გეოპოლიტიკური ადგილის შესახებ. ბუნებრივია ისიც, თუ ამ სახელმწიფოთა შორის აღნიშნული ურთიერთობა კავკასიაში ჰეგემონიისათვის ბრძოლაში გადაიზარდა.

ხაზგასასმელია ის არსებითი გარემოებაც, რომ თვით კავკასიის გეოპოლიტიკური თავისებურება ფრიად მნიშვნელოვანი იყო ცალკეულ სახელმწიფოთა შორის ზემოხსენებული პროცესების განვითარების წარმართვის თვალსაზრისით. მხედველობაში გვაქვს ამ მოვლენების განმაპირობებელი ის უდიდესი ფაქტორი, რომ ამიერკავკასია ყოველთვის იყო და არის არა მხოლოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთდამაკავშირებელი ხიდი, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის საკონტაქტო ზონა.² განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ამიერკავკასია მთელი მისი პოლიტიკური ისტორიის მანძილზე არა მხოლოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის მსოფლიოს უდიდეს იმპერიათა ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესთა უშუალო სარბიელს წარმოადგენდა (საბერძნეთი და აქემენიდური სპარსეთი, რომი და პართია, ბიზანტია და სპარსეთი, ბიზანტია და არაბეთი, ბიზანტია და სელჩუკიანი თურქები, ბიზანტია და მონგოლები, დასასრულ – თურქეთი, სპარსეთი და რუსეთი), არამედ სხვადასხვა, ურთიერთსაწინააღმდეგო და ხშირად ურთიერთგამომრიცხველ, სამყაროთა და ცივილიზაციათა გზაჯვარედინიც იყო. ვგულისხმობთ არა მხოლოდ ევროპულ და აზიურ ცივილიზაციებს, არამედ მკვიდრ სამიწათმოქმედო და მეჭოგე-სამომთაბარეო სამყაროებსაც: ჩრდილოურს, აღმოსავლურს თუ სამხრეთურს.

¹ მოხსენება წაკითხულია 1996 წლის 11 ოქტომბერს ივ. ჯავახიშვილის დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონფერენციაზე – „კავკასია მსოფლიო ისტორიის კონტექსტში“.

² დ. მუსხელიშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოსა და ამიერკავკასიის მნიშვნელობა საერთაშორისო ვაჭრობაში. ჟურნ. „ცისკარი“, №11, 1970; ვ. გოილაძე, აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო, თბ., 1997.

ამგვარად, როგორც წესი, ამიერკავკასიურ სახელმწიფოთა ურთიერთ-შორისი პოლიტიკური პროცესების მიმდინარეობა გადახლართული იყო საგარეო პოლიტიკურ ვითარებასთან, რასაც განაპირობებდა როგორც ამ ქვეყნების ბუნებრივი რესურსების სიმდიდრე და მოსახლეობის სამხედრო პოტენციალი, ასევე ამიერკავკასიის სტრატეგიული მდებარეობა და მასზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზები.

კერძოდ, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ფაქტს, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფოები აკონტროლებდნენ სამხრეთიდან ჩრდილოეთში, იმ-იერკავკასიისა და აღმოსავლეთი ევროპის სამხრეთ სტეპებში მიმავალ გზებს, რომელთაგან დარუბანდზე გამავალი თუ ალვანეთის ტერიტორიაზე იყო, სხვა ნაკლებმნიშვნელოვან უღელტეხილებთან ერთად, დარიალისა და ქლუხორის ზეკარები ივერიისა და ეგრისის ტერიტორიებზე მდებარეობდა. ამდენად, ჩრდილოეთიდან ველურ მეჯოგეთა გადმოყვანა და მახლობელი აღ-მოსავლეთის მდიდარ ქვეყნებში მათი დამანგრეველი თარეში მნიშვნელოვან-წილად ეგრის-ივერია-ალვანეთის მესვეურთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებ-ბული. ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც აპირობებდა პოლიტიკურ ურთიერთობებს ამიერკავკასიის ქვეყნებსა და მათ სამხრეთით აღმოცენებულ დიდ იმპერიათა შორის.

ეს იყო ამავე დროს ის ქმედითი იარაღი, რომლის საშუალებითაც ამ-იერკავკასიური ქვეყნების დიპლომატია წარმატებით ახერხებდა ამ ურთიერ-ობებისთვის ხშირად მათთვის ხელსაყრელი მიმართულება მიეცა, რაც კარ-გად ჰქონდათ გათვალისწინებული VI საუკუნის ეგრისის დიპლომატებს, როდესაც სპარსეთის შაჰს ალიანსს სთავაზობდნენ ბიზანტიის წინააღმდეგ და შეახსენებდნენ, რომ მასზე „იქნებოდა დამოკიდებული, მოსაზღვრე (ჩრდილოეთში) ბარბაროსებმა ყოველ წელიწადს არბიონ რომაელთა მიწა-წყალი. თქვენ ალბათ იცით, — ეუბნებოდნენ ელჩები შაჰს, — რომ ლაზთა ქვეყ-ანა დღემდე კავკასიის მთების წინააღმდეგ საფარს წარმოადგენდა“. ბიზან-ტიელი ისტორიკოსი, რომელიც ამას გადმოგვცემს, ერთგან ცხადად და ლაკ-ონიურად მიუთითებს, რომ „კავკასიაში მოსახლე ბარბაროსთათვის ლაზიკე არის მხოლოდ საწინააღმდეგო ტიხრი“. მეორე მხრივ, იგივე ისტორიკოსი ასკვნის, რომ სპარსეთ-ეგრისის კეთილგანწყობილი სტაბილური ურთიერ-ობის შემთხვევაში „ლაზიკის მეზობლად მოსახლე ჰუნებისგანაც სპარსელთა სახელმწიფო სამუდამოდ დაურბეველი იქნებოდა“!³

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ამ თვალსაზრისით სპარსეთისა და აგრეთვე ბიზანტიისთვის ივერიასთან სტაბილურ პოლიტიკურ ურთიერთობებს ჰქონდა. ამიტომაც სპარსეთ-ბიზანტიას შორის ოცწლიანი ომის დამ-თავრების შემდეგ, როგორც მეორე ბიზანტიელი ისტორიკოსი გადმოგვცემს.

³ პროკოპი კესარიელი, „გეორგია“, ტ. II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბ., 1965, გვ. 81, 94.

562 წლის 50-წლიანი საზავო ხელშეკრულების „პირველ დებულებად დაწ-ერილი იყო, რომ სპარსელები (რომელთაც ამ დროს ეპყრათ ივერია და ალ-ვანეთი), ნებას არ აძლევდნენ არც ჰუნებს, არც ალანებს, არც სხვა ბარბაროსებს ეგრეთწოდებული ჩორისა (დარუბანდისა) და კასიის (დარიალის) კარების შესავალი ვიწროებით გადავიდნენ რომაელთა სამფლობელოს წინააღმდეგ“⁴

აქედან კარგად ჩანს, თუ რა დიდ იარაღს ფლობდა ივერიის დიპლომატია მეზობელი დიდი იმპერიების პოლიტიკური ამბიციების საწინააღმდეგოდ მაშინ, როდესაც ამ ქართულ სახელმწიფოს მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი პოლიტიკური კურსის გატარება შეეძლო.

რა თქმა უნდა, ასევე იყო უფრო ძველადაც და სწორი უნდა იყოს მო-საზრება, რომ ივერიის სახელმწიფოს მიერ ახალი წელთაღრიცხვის დასაწყ-ისში „რომის მეგობრის“ სტატუსის მიღება, პირველ რიგში, იმით იყო გაპი-რობებული, რომ ივერია დარიალის გასასვლელს ფლობდა, ხოლო რომს კი ძალა არ შესწევდა მისი ინკორპორაციისათვის (გ. მელიქიშვილი).⁵

ეს უაღრესად დიდი მნიშვნელობის გარემოება, ცხადია, ქართლის სამე-ფოს მესვეურთაგან სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ კურსს მოითხოვდა კავკასიის მთიანეთის მიმართ და იგი უნდა გამოხატულიყო ამ რეგიონზე ქართლის კულტურული და პოლიტიკური გავლენის გავრცელებით. ეს კარ-გად ჩანს „ქართლის ცხოვრების“ სათანადო ცნობების მიხედვით.

ასე მაგალითად, ზემოხსენებული ძველქართული წყაროს ჩვენებით, ქართ-ველთა პირველმა მეფემ „ფარნავაზ მისცა დაა მისი ოვსთა მეფესა ცოლად“, ხოლო თვით მას მეუღლე დურძუკთა ქვეყნიდან ჰყავს. მისი მეგვიდრე საურ-მაგი, როდესაც მას ქართლის ერისთავნი აუჯანყდნენ, „მივიდა ქუეყანასა დურძუკთასა დედის ძმათა მისთა თანა“, იქიდან „ეზრაზა ოვსთა მეფესა. მამისა დისწულსა მისსა, და ითხოვა შეწევნა“. როდესაც ქართლის სამეფო ტახტი კვლავ დაიბრუნა, „მაშინ ამან საურმაგ წარმოიყვანა იგინი ყოველთა კავკასის ნათესავთა ნახევარნი, და რომელნიმე მათგანნი წარჩინებულ ყვნა, და სხუანი დასხნა მთიულეთს, დიდოეთიდან ვიდრე ეგრისამდე, რომელ არს სუ-ანეთი, და ესენი დაიპყრნა მისანდობელად თვისად, დედულნი“.⁶ ეს ცნობები, მიუხედავად იმისა, რომ გვიანდელ მემკვიდრეობაშია და ცუდი და ანაქრონის-ტულიცაა (ოსთა ხსენება კავკასიაში ელინისტურ ხანაში), არსებითად, სრულიად რეალური და სანდოა. ამას მოწმობს იმ პერიოდის პოლიტიკურ ძალთა ზემოხსენებული განწყობილება კავკასიაში და მახლობელ აღმოსავ-ლეთში. ამასვე მოწმობს თანადროულ უცხოურ წერილობით წყაროებში დაცული ჩვენებანი ივერიისა და იმერკავკასიის მეჯოგე-მომთაბარეთა

⁴ მენანდრე, „გეორგია“, ტ. III, თბ., 1936, გვ. 216, 217.

⁵ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970, გვ. 509, 510.

⁶ ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955, გვ. 24, 25, 26, 27 (ქვემოთ: ქ. I).

პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ (სტრაბონი, XI, 3,3; იოსებ ფლავიუსი).⁷

მაგრამ კავკასიის მთიანეთის მოსახლეობა, რომელიც საურმაგმა „დაიპყრნა მისანდობელად თვისად“, იმ დროს, ჩანს, თვით წარმოადგენდა გარკვეულ საშიშროებას ივერიის ბარისთვის. ამაზე უნდა მიგვიჩვენებდეს ივერიის უძველეს ქალაქთა (მცხეთა, სარკინე, ნასტაკისი, კასპი, უფლისციხე, ურბნისი) ტოპოგრაფია: ისინი უშუალოდ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობენ ისეთ ადგილებში, რომლებიც ჩრდილოეთიდან ბუნებრივი ზღუდეებით, კლდოვანი ქედებითა და ცული, სადაც ასეთი რამ არ არის, იქ, ცხადია, ხელოვნური კედლებია აგებული (მაგალითად, ჩრდილოეთიდან მომავალი გზის ჩამკეტი ღართისკარის კედელი მცხეთისათვის). „მიუდგომელ სიმაგრეზე“, რომელიც მცხეთას ჩრდილოეთიდან იცავდა, სტრაბონიც მიუთითებს (XI, 3,5).

მეორე საუკუნისათვის, ჩვენი წელთაღრიცხვისა, როდესაც ივერია მორუმული ქვეყანაა, ვითარებაც შეცვლილია და მდიდრული ქალაქები უკვე შიდა ქართლის ველზეა განლაგებული (პტოლემეოსის მიერ მოხსენიებული ქალაქი „ზალისა“, რომელიც, როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა ნათელყო, დღევანდელ სოფელ ძალისთან მდებარეობდა).

გაძლიერებული ივერია მეზობლებს უტევს, რომელთაც მანამდე მოახერხეს და მისი სანაპირო ტერიტორიები მიიტაცეს.

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიაში ჰეგემონობისათვის ბრძოლაში ელინისტური ხანიდანვე გამოიკვეთა ორი ძირითადი ძალა. ეს არის ივერია და სომხეთი. კოლხეთი ამ დროს დასუსტებულია, დეცენტრალიზებული. ასეთივე ვითარებაა ალვანეთში. ივერიისა და სომხეთის ლიდერობას ამ პოლიტიკურ პროცესში, სიძლიერის გარდა, ამიერკავკასიაში მათი ცენტრალური მდებარეობაც განაპირობებდა.

პირველ ხანებში სომხეთი აშკარად უტევს. იგი იპყრობს ქართლისა და ალვანეთის სახელმწიფოების სამხრეთ პროვინციებს. სტრაბონის მიხედვით, მთელ ამ ანექსირებულ ტერიტორიებზე ვრცელდება სომხური (XI, 14, 5), რა თქმა უნდა, როგორც ოფიციალური სახელმწიფო ენა. სწორედ ეს უნდა იყოს საფუძველი ლეონტი მროველის იმ გადმოცემისა, რომ ძველად „ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, რომელსა ზრახვიდეს“.⁹

⁷ თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 517.

⁸ ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემეოსის „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“. ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, გვ. 46.

⁹ ქც. I, გვ. 16.

I-II საუკუნეებში გაძლიერებული ქართლის სამეფო, რომის მხარდაჭერით იბრუნებს სომხეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებს და ერთხანს თვით სომხეთსაც იპყრობს. უტევს ალვანეთსაც.

ხაზგასასმელია უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება: აშკარად ჩანს, რომ ახ. წელთაღრიცხვის პირველივე წლებიდან ქართულ სამეფოთა მესვეურები დასავლურ კულტურულ და პოლიტიკურ ორიენტაციას ირჩევენ და ეს პოლიტიკური კურსი, შეიძლება ითქვას, განმსაზღვრელი ხდება საქართველოს მთელი შემდგომი ისტორიის მანძილზე. სწორედ ამან განაპირობა ქართლსა და ეგრისში IV საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება.

მეფე მირიანი ქრისტიანობას ქართლის მთიანეთშიც ავრცელებს, რაც მთის კულტურულ შემოშტკიცებას ისახავდა მიზნად.

ვახტანგ გორგასალმა კიდევ უფრო ფართოდ გაშალა ეს საქმიანობა. მან მთის უკანასკნელი ძლიერი შემოტევა უკუაგდო და იგი საბოლოოდ დაიმორჩილა, რასაც სხვათა შორის მის მიერ ქალაქ უჯარმის მშენებლობა მოწმობს. ამ დიდი სახელმწიფო მოღვაწის პოლიტიკურ თვალსაწიერში, შეიძლება ითქვას, პირველად შემოდის მთელი კავკასია: ვახტანგი აერთიანებს მთელ (დასავლეთ და აღმოსავლეთ) საქართველოს, იერთებს დასავლეთი ალვანეთის ტერიტორიას და აარსებს აქ ჰერეთის საერისთავოს; ქართლის პოლიტიკურ გავლენას ავრცელებს იმიერკავკასიის მთიანეთზეც; განსაკუთრებით ინტენსიურად საქმიანობს იგი აღმოსავლეთი იმიერკავკასიის მთიანეთში, კერძოდ სამხრეთ-დასავლეთ დაღესტანში, სადაც წუქეთის საერისთავოს აარსებს; მის დროს ღრმავდება კულტურული და სავაჭრო ურთიერთობა სახელმწიფოს სხვადასხვა კუთხეებს შორის, კერძოდ, მთასა და ბარს შორის, რასაც ამოწმებს ნუმიზმატიკური მასალაც; უფრო ინტენსიური ხდება საერთაშორისო ვაჭრობა: ბიზანტიელებთან ერთად ფოთში ბაქტრიელი და ინდოელი ვაჭრები საქმიანობენ; არსდება ახალი ციხე-სიმაგრეები და ქალაქები (ახიზა, არტანუჯი, ჭერემი, უჯარმა); საფუძველი ეყრება თბილისის ამიერკავკასიის მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრად გადაქცევის პროცესს, რაც მისი გადაქალაქებით გამოიხატა და სხვ.¹⁰

მაგრამ ქვეყნის შიგნით სოციალური განვითარებისა და გარეპოლიტიკური ვითარების შედეგად შექმნილმა ძალთა განწყობილებამ ეს დიდი კულტურულ-პოლიტიკური პროცესი ამჭერად შეაფერხა. ქართლში სპარსელები შემოდიან.

თუმცა ფაქტია ისიც, რომ მიუხედავად პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვისა, ქართლი VI საუკუნის განმავლობაში ეკონომიკურ აღმავლობას განიცდის, რაც იწვევს ნახევრად დამოუკიდებელ საერისთავოებად დაყო-

¹⁰ დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბ., 1975, თავი III.

ფილი ქვეყნის ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად შერწყმის პროცესის გაძლიერებას: „და ნელაღრმე შეკრბა ქართლი და განაჩინეს ერისთავად გუარამ“.¹¹

ფაქტობრივად, ეს იყო ქვეყნის კონსოლიდაციის იმ დიდი პროცესის ხელახალი წამოწყება, რომელსაც V ს-ის მეორე ნახევარში საფუძველი ჩაუყარა ვახტანგ გორგასალმა, მაგრამ საგარეო ძალის ჩარევის გამო ნახევარი საუკუნით შეჩერდა. VI საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალგაზრდა ფეოდალური ქართლი ახალი ენერგიით კვლავ იწყებს ამ ეროვნული საქმის განხორციელებას. ეროვნულ-იდეოლოგიური კონსოლიდაციის პროცესი ახალი ძალით იწლება ქართლისა და ეგრისის ტერიტორიაზე. ცხოველი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ხორციელდება აფხაზეთის, სვანეთის, რაჭის უღელტეხილებით, მდ. ასას ხეობით და, ცხადია, დარი-ალანით ჩრდილოეთ კავკასიასთან. თბილისი, როგორც ამიერკავკასიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ცენტრი, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს. ფართო სამისიონერო საქმიანობაა გამწვანებული კავკასიის მთიელებში.¹²

VII საუკუნის დასაწყისში იკვეთება ქართლის თავისთავადი ეროვნულ-იდეოლოგიური სახე: სამხეთთან საეკლესიო განხეთქილება არა მხოლოდ სომეხთა კულტურული გავლენის წყაროს მოსპობას ნიშნავდა, არამედ, ფაქტობრივად, ირანის პოლიტიკური ექსპანსიის უარყოფასაც მოასწავებდა. ქართლმა კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი კულტურულ-პოლიტიკური პროდასავლური კურსი.

არაბთა შემოსევამ VII საუკუნის შუა ხანებში კიდევ ერთხელ, ამჯერად სამი საუკუნით, შეაფერხა ქვეყნის ეროვნულ-კულტურული კონსოლიდაციის პროცესი და საერთოდ ამიერკავკასიური ერთობის იმპულსები. მაგრამ არაბთა მრავალგზისმა ლაშქრობებმა VIII-IX საუკუნეებში მაინც ვერ შეძლო ახალგაზრდა მზარდი ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შეჩერება. პროცესი კი ქვეყნის და, საბოლოო ჯამში, კავკასიის მთელი რეგიონის პოლიტიკური გაერთიანებისკენ იყო მიმართული.

პოლიტიკური თვალსაზრისით ამიერკავკასია საერთოდ და საქართველო კერძოდ თითქმის ყოველთვის დასავლეთის და აღმოსავლეთის დიდი იმპერიების გავლენის სფეროებად ნაწილდებოდა. დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველოს სახელმწიფოებს შინაგანი ფაქტობრივი დამოუკიდებლობის

¹¹ მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 95.

¹² ეპისტოლეთა წიგნი, ზ. ალექსიძის გამოცემა, თბ., 1968, გვ. 180 და შემდგ. დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980, თავი I, §1.

შენარჩუნებისათვის მუდმივი დიპლომატიური ლავირება სჭირდებოდა ამ ორ უდიდეს პოლიტიკურ ძალას შორის, მაგრამ ყოველი ხელსაყრელი ვითარების პირობებში მათი გაერთიანების იმპულსები ძლიერად მოქმედებდა. ასე იყო II საუკუნეში, ასე იყო V საუკუნის მეორე ნახევარში და VI საუკუნის მეორე ნახევარშიც. ამასთან, დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემოსხენებული იმპერიები, რამდენადაც მათ არ ძალუძდათ მთელი ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიის მთლიანად დაუფლება, ყოველთვის ცდილობდნენ, შეენარჩუნებინათ მათი გავლენის სფეროების status quo. ეს იყო საქართველოს კონსოლიდაციის საწინააღმდეგო უდიდესი პოლიტიკური ფაქტორი.

არაბთა სახალიფოს პოლიტიკური დაშლილობის პერიოდში ამიერკავკასიის ფეოდალური სახელმწიფოებისთვის კვლავ ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა.

ის სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესი, რომლის პოლიტიკური გამოხატულება იყო ძველი ეგრისისა და ქართლის სახელმწიფოთა ტერიტორიებზე ფეოდალური სამეფო-სამთავროების შექმნა და რომელიც შემდგომშიც აღმავალი ხაზით მიმდინარეობს, ბუნებრივად გადაიზარდა თვით ამ სამთავროთა შორის ჰეგემონიისათვის ბრძოლაში. ამ უკანასკნელის უახლოესი შედეგი უნდა ყოფილიყო მათი პოლიტიკური გაერთიანება და „საქართველოს“ შექმნა. ამ დიდ პროცესში ამიერკავკასიის მთიანეთის ქართველ დინასტთა პოლიტიკაში კვლავ დიდი ადგილი უჭირავს. უძველესი დროიდან დაწყებული ქართული კულტურულ-პოლიტიკური გავლენის გავრცელება ახლა კიდევ მეტი ინტენსივობით ვითარდება. ჯერ კიდევ X საუკუნის 20-იან წლებში „აფხაზთა მეფე“ გიორგი კონსტანტინოპოლის პატრიარქის სანქციით აქტიურად მონაწილეობს ალანთა ქრისტიანობაზე მოქცევის საქმეში. ფიქრობენ, რომ სწორედ მის დროს, X საუკუნის მეორე მეოთხედში უნდა იყოს აშენებული იმამკავკასიაში, ზელენჩუკის ხეობაში, სოფელ ქვემო ახრიზთან მდებარე X-XIII საუკუნეების დიდი ნაქალაქარის თავზე ერთ-ერთი ეკლესია, რომელიც გეგმითა და ბევრი დეტალით დიდ მსგავსებას ამჟღავნებს აფხაზეთში მდებარე ლიხნის ტაძართან. უმნიშვნელო არ უნდა იყოს ის ფაქტიც, რომ სწორედ აქ, ზელენჩუკის ხეობაში, კერძოდ კი სოფ. ახრიზთანაც აღმოჩნდა VII ს-ის ბიზანტიური ოქროს მონეტები, რომლებიც, უჭკველია, დასავლეთ საქართველოდან აფხაზეთის გზით უნდა მოხვედრილიყო ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიურ ოლქში. ყველაფერი ეს, ისტორიულ წყაროებში დაცულ ცნობებთან ერთად, ცხადია, ინტენსიურ სავაჭრო-კულტურულ ურთიერთობებზე მიუთითებს დასავლეთ ამიერკავკასიასა და იმამკავკასიას შორის ამ საუკუნეებში.

ასეთივე ვითარებაა აღმოსავლეთ კავკასიაში. კერძოდ, 900-იან წლებში დაღესტნის საზოგადოების ზედაფენა უკვე ქრისტიანულია, ხოლო აქ ქრისტიანობა რომ საქართველოდან ვრცელდებოდა, დღეს სადაო აღარ არის.

ყველაფერი ეს მოწმობს ქართული კულტურის და ქართული ენის გავრცელებას ჩრდილოკავკასიაში. ამის დამადასტურებელი არაერთი არქიტექტურული და ეპიგრაფიული ძეგლია მოპოვებული ჩეჩნეთ-დაღესტნის ტერიტორიიდან, რომლებიც მაინცდამაინც X-XI საუკუნეების მიჯნით თარიღდება, ე. ი. იმ პერიოდით, როდესაც ბაგრატ III-ის ხელქვეით, ფაქტობრივად, მთელი საქართველო გაერთიანდა. საინტერესოა, რომ აქაც კულტურული გავლენის მაჩვენებელ ამ ფაქტებს წინ უსწრებს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი, რისი მოწმობაცაა ბიზანტიური ოქროს და სასანური ოქროსა და ვერცხლის მონეტების აღმოჩენა აღმოსავლეთ იმერკავკასიაში.¹³

ჰეგემონობისათვის ბრძოლაში, რაც საბოლოოდ ამიერკავკასიის გაერთიანებას გულისხმობდა, აქტიურ ძალად კვლავ სომხები და ქართველები გამოდიან, რომლებიც, მემათიანის ნიშანდობლივი გამოთქმით, იბრძოდნენ „ქართლსა ზედა“, ე. ი. რეალურად იბრძოდნენ ამიერკავკასიის ამ ცენტრალური რაიონის დაუფლებისთვის პირველ რიგში, რადგან სწორედ აქ იზღარებოდა კავკასიის შიდაციონალურ ურთიერთობათა კვანძი.

6. ბერძენიშვილი აღნიშნავდა: „ვინც ფეოდალური ხანის IX-XIII საუკუნეების ფაქტებს იცნობს სომეხ-ქართველთა ურთიერთობიდან, მას არ შეიძლება თვალწინ არ გადაეშალოს მეტად საგულისხმო ტენდენცია იქით მიმართული, რომ ამიერკავკასია ერთ დიდ სამეურნეო და პოლიტიკურ-კულტურულ ერთეულად ქცეულიყო“.¹⁴ ზემოთაღნიშნული ფაქტები არა მხოლოდ ამიერკავკასიის, არამედ მთელი კავკასიის ერთ კულტურულ-სამეურნეო სამყაროდ გადაქცევაზე მიუთითებს, რასაც, როგორც უკვე ვიცით, ხანგრძლივი, არაერთსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ვახტანგ გორგასლის იდეას ამჟამად უკვე მეკვიდრი საფუძველი ჰქონდა და ბაგრატ III-ის დროინდელი სახელმწიფო დიდი მისიის წინ იდგა: ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის გზაზე დამდგარი ფეოდალური საქართველო კავკასიური სამყაროს გამაერთიანებლის როლს კისრულობდა და ბიზანტიას უპირისპირდებოდა.

ქიშინი სომხებთან ქართველთა სასარგებლოდ გადაიჭრა და მაშინ, როდესაც XI ს-ის განმავლობაში ბიზანტიის ექსპანსიის შედეგად სომხური სამეფოები ერთიმეორის მიყოლებით აღიგავა პირისაგან მიწისა, ერთიანმა საქართველომ ბიზანტიის შემოტევა უვნებლყო, შინაგან ფეოდალურ ანარქიასაც ბოლო მოუღო და სელჩუკიანი თურქების არაერთგზისი ამაოხრებელი შემოსევებიც მოიგვრია.

კავკასია რომ, დღევანდელი პოლიტიკური ტერმინოლოგიით, ერთიანი გეოპოლიტიკური სამყაროა, ეს კარგად ესმოდათ იმდროინდელ პოლიტიკურ

¹³ დ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 15, 16.

¹⁴ 6. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 398.

და კულტურის მოღვაწეებს. ამის მოწმობაა ლეონტი მროველის მიერ XI ს-ის 70-იან წლებში შექმნილი ცნობილი ეთნოლოგიური კონცეფცია, რომლის მიხედვით კავკასიის მთელი მოსახლეობა რვა ლეიძლი მშის ჩამომაჯავლია. განათლებული ეპისკოპოსის და ისტორიკოსის ეს კონცეფცია, რომელიც მოწოდებულია, კავკასიური სამყაროს ერთიანობა დაასაბუთოს, ამავე დროს იდეოლოგიურად განამტკიცებდა საქართველოს მესვეურთა პოლიტიკურ კურსს.

ეს უკანასკნელი რომ სრულიად რეალური და იმდროინდელი საზოგადოებრივი განვითარების ადეკვატური ობიექტური კანონზომიერება იყო, დასტურდება იმითაც, რომ XII საუკუნის დასაწყისში ფეოდალური საქართველოს უდიდესმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, დავით აღმაშენებელმა არა მხოლოდ „თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარეთ განასხნა“ და „თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთასხნა“¹⁵ ანუ განუწყვეტელი რბევითარეშისაგან დაქუცმაცებული საქართველო კვლავ ერთიან ორგანიზმად გადააქცია, არამედ მთელი ამიერკავკასია (განძა-ყარაბაღის გარდა) გაათავისუფლა თურქთაგან და რეგიონის მთელი მოსახლეობის მხარდაჭერით, ფაქტობრივად, ერთიანი კავკასიური სახელმწიფო შექმნა „ნიკოფსითგან დარუბანდისა ზღუადმდე და ოსეთითგან სპერად და არეგაწადმდე“¹⁶ ამ დიდი ფეოდალური მონარქიის დედაქალაქად კვლავ თბილისი გახდა, რომელიც ჯერ კიდევ IX-X საუკუნეებში ჩრდილოეთთან სავაჭრო ურთიერთობების გაცხოველებასთან დაკავშირებით ფრიად დაწინაურდა, ამჟამად კი ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს სავაჭრო-ეკონომიკურ ცენტრად გადაქცეულიყო.

მიუხედავად იმისა, რომ სომხეთისა და შარვანის ინკორპორაცია, მართალია, უცხო დამპყრობელთან ბრძოლით, მაგრამ მაინც იარაღის ძალით განხორციელდა, დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი ამიერკავკასიური სახელმწიფო არ იყო იმპერია, სადაც ერთი ხალხია, ფაქტობრივად, გაბატონებული დანარჩენებზე. პირუკუ, ადგილობრივი ამიერკავკასიური მოსახლეობა მხარში ედგა მეფეს, რისი დასტურიცაა, მაგალითად, დავითის თანამედროვე სომეხი ისტორიკოსის მოწმობა, რომ „იყო მეფე დავითი წმინდა და სათნო, ყოვლად შემკული ღვთის მოსავობით და კეთილი სამართლიანობით. ის აღმოჩნდა მიმღები და მოყვარული სომეხთა ტომისა. მის გარშემო შეიკრიბა სომეხთა გადარჩენილი ლაშქარი... დიდის სიხარულით და აღფრთოვანებით ექცეოდა მას მთელი სომეხი ხალხი“ (მათე ურჰაელი).¹⁷

¹⁵ დავით აღმაშენებლის ეპიტაფია არსენ იყალთოელისა, იხ. ე. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, თბ., 1920, გვ. XXXVIII.

¹⁶ ანდერძი დავით აღმაშენებლისა: ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, თბ., 1966, გვ. 19.

¹⁷ ლ. მელიქეთ-ბეგი, ძველი სომხური ქრესტომათია ლექსიკონითურთ, ნაკვ. I, თბ., 1920, გვ. 72, 73. თარგმანი იხ: ლ. დავლიანიძე, მათე ურჰაელის ცნობები დავით აღ-

ამაზევე მიუთითებს XII ს-ის შარვანელი პოეტის, ფალაკის ოდა დავით აღმაშენებლის მეშვეობით დოქტორე მეფისადმი.¹⁸ ცოტა უფრო გვიან, გიორგი III-ისა და თამარ მეფის თანამედროვე შარვანელივე პოეტი, ხაყანი, საქართველოს და „ბაგრატიონთა კარს თავის თავშესაფრად“¹⁹ მიიჩნევს, ხოლო გიორგი III-ისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავს, რომ მისი, „ქვეყნის პატრონის, მეფეთა მეფის საფარველის ჩრდილისა და მზრუნველობის ფრთის ქვეშ წყალობის კვალითა და დიდების სხივებით შარვანი“ ბედნიერ მხარედ ქცეულა.²⁰ ეს, რა თქმა უნდა, ფრიად ნიშანდობლივი გარემოებაა, რაც არ უნდა მეტაფორული ფორმებით იყოს გამოთქმული, სხვა ამავდროულ მსგავს ფაქტებთან ერთად, საქართველოს სამეფო კარის ნაციონალური და რელიგიური პოლიტიკის წარმოსაჩენად და საერთოდ ქართული ეროვნული ფსიქოლოგიის დასახასიათებლად, რომლისთვისაც, ბევრი სხვა ერისაგან განსხვავებით, უცხოა ქსენოფობია და, პირუკუ, ორგანულია ტოლერანტობა.

უდავოა, რომ XII საუკუნეში საქართველოს სამეფო კარს სრულიად გარკვეული პოლიტიკური დოქტრინა ჰქონდა შემუშავებული ამ, შეიძლება ითქვას, საერთო კავკასიური ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკური მმართველობისათვის. საქართველოს სამეფოს მიერ ინკორპორირებული იყო დასავლეთი შარვანის და ჩრდილოეთი სომხეთის ტერიტორიები ქრისტიანული მოსახლეობით, სადაც საკუთრივ საქართველოსთვის ჩვეულებრივი სახელმწიფოებრივი მმართველობა ხორციელდებოდა. დანარჩენი ტერიტორიები ვასალურ ერთეულებს ქმნიდნენ და „ყმადნაფიცის“ სტატუსით იყვნენ დაკავშირებული საქართველოსთან. მათ საკუთარი მმართველები ჰყავდათ, რომლებიც არ ითვლებოდნენ საქართველოს სახელმწიფო მოხელეებად. შინაგან მმართველობაში საქართველოს სამეფო კარი არ ერეოდა და ერთგულების პირობით მათი უშიშროების გარანტიად გამოდიოდა.

თამარ მეფის ისტორიკოსს საგანგებოდ ჩამოთვლილიც აქვს ასეთი ქვეყნები და ხალხები, ესენია: „სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ლუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუ-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა“.²¹ ეს უკანასკნელი ფრაზა პირდაპირ პოლიტიკური დოქტრინის ფორმულაა, რომელიც ნათლად აყალიბებს საქართველოს სამეფო კარისა და კავკასიის სხვა ქვეყნების ურთიერთობას: ყმადნაფიცი ქვეყნები სრულიად სუ-

ვერენული არიან შინაგან მმართველობაში და ამავე დროს საგარეო პოლიტიკური გართულებების შემთხვევაში საქართველოს სამეფო კარი ვალდებულია მათ დაეხმაროს. ცხადია, ამის სამუქედოდ ყმადნაფიცი ვალდებულია იყოს ერთგული პატრონის წინაშე, რაც გამოიხატებოდა პერიოდულად „ნიჭისა და ძღვნის“ მიცემაში და, ალბათ, სამხედრო დახმარებაში ომის დროს. ეს არ იყო მხოლოდ თეორია, არამედ, როგორც წყაროები მოწმობენ, რეალური ურთიერთობების ამსახველი პოლიტიკური ნორმა გახლდათ, რომელიც ფეოდალური საქართველოს მაღალი სახელმწიფოებრივი კულტურის ამსახველი იყო.

ზემოაღნიშნული, ასე ვთქვათ, კავკასიური დიპლომატიის შედეგი იყო ის, რომ საქართველოს ისტორიამ არ იცის კონფლიქტები ეთნიკურ ნიადაგზე. სწორედ ამან განაპირობა ის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი საერთო კავკასიური სახელმწიფოებრიობა მის შემქმნელს კი არ გადაჰყავა, არამედ სამი საუკუნის განმავლობაში არსებობდა, მიუხედავად მონღოლთა და სხვათა თარეშისა და, ფაქტობრივად, მხოლოდ თემურ-ლენგის დამანგრეველი რვაგზის შემოსევის შედეგად დაიშალა.

ამგვარად, დიდ ქართველ პოლიტიკოსთა ძალისხმევით შექმნილი ამიერკავკასიური სახელმწიფოს ერთიანობა შიშველ ძალაზე კი არ იყო დაფუძნებული, არამედ — ხალხთა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესთა ერთიანობაზე. ამაში არამცირედი როლი უნდა შეესრულებინა ზემოთ უკვე ნახსენებ იმ მნიშვნელოვან გარემოებას, რომ ამიერკავკასია და, კერძოდ, საქართველოს ტერიტორია უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა საერთაშორისო სატრანზიტო არეალს. კიდევ ერთხელ ნახვასსმელია ზემოაღნიშნული ვითარება, რომ ეს სავაჭრო-სატრანზიტო მაგისტრალები მხოლოდ ქრისტიანულ დასავლეთს და მაჰმადიანურ აღმოსავლეთს კი არ აკავშირებდა, არამედ ცივილიზებულ სამხრეთს და ველურ ჩრდილოეთსაც. საქართველო და ამიერკავკასია, როგორც ვიცით, უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა გზაჯვარედინს ამ მსოფლიო სავაჭრო და სამხედრო სტრატეგიული ინტერესებისას და ამდენადვე ამიერკავკასიის სახელმწიფოთა და, კერძოდ, საქართველოს პოლიტიკოსებს არ შეიძლებოდა ამისთვის ანგარიში არ გაეწიათ. უწევდნენ კიდევ, რამდენადაც უხდებოდათ, შეიძლება ითქვას, მუდმივი დიპლომატიური ლავირება მეზობელ დიდ იმპერიათა შორის და ხშირად ჩრდილოელი ველურების გამოყენება სამხრეთული პოლიტიკური ექსპანსიის წინააღმდეგ.

ეს იყო ქართულ-კავკასიური დიპლომატიის მნიშვნელოვანი მახასიათებელი. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ სელჩუკიანი თურქების ამიერკავკასიიდან განდევნის შემდეგ და მახლობელ აღმოსავლეთში მეტნაკლებად ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარების დამყარების პირობებში დიდმა ქართველმა სახელმწიფო მოღვაწემ და პოლიტიკოსმა, დავით აღმაშენებელმა შეძლო კავკასიაში ისეთი პოლიტიკური *modus vivendi* დაე-

მაშენებლის შესახებ: კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 247, 248.

¹⁸ Буниатов З. М., Грузия и Ширван в первой половине XII века, იქვე, გვ. 289.

¹⁹ იქვე, გვ. 283.

²⁰ ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, გამოსცა მ. თოდუამ, თბ., 1979, გვ. 13.

²¹ ქც., II, თბ., 1959, გვ. 147.

მყარებინა, რომელიც არსებითად ხელსაყრელი იყო რეგიონის მთელი მოსახლეობისათვის.

ეს არის უნიკალური მოვლენა შუა საუკუნეების ისტორიაში საერთოდ მაჰმადიანური და ქრისტიანული სახელმწიფოების თანაცხოვრებისა, რომელიც ამიერკავკასიაში, იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, ოპტიმალურ მოდელს წარმოადგენდა. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს იყო ქართული პოლიტიკური აზროვნებისა და კულტურის უმაღლესი სტანდარტების მაჩვენებელი იმდროინდელ მსოფლიოში, როდესაც ჯვაროსნულმა ომებმა მსოფლიო ორ შეურიგებელ ბანაკად გახლიჩა. ამ კატასტროფული დაპირისპირების ტალღამ საქართველომდეც მოაღწია, მაგრამ სწორედ დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილი საერთო კავკასიური სახელმწიფოებრიობის მყარ საფუძველს მოწმობს ის, რომ დიდგორის ომში (1121 წ.) შარვანის და დარუბანდის პოლიტიკოსებმა მხარი არ დაუჭირეს ანტიქართულ მაჰმადიანურ კოალიციას.

უეჭველია, სწორედ ამგვარმა პოლიტიკურმა სიტუაციამ და პოლიტიკურმა (ეროვნულმა) ფსიქოლოგიამ განაპირობა „ვეფხისტყაოსნის“ იდეა ხალხთა მეგობრობისა. ვფიქრობთ, სწორედ ამიერკავკასიური პოლიტიკურ-კულტურული ვითარების ამსახველია შოთა რუსთაველის სტრიქონები:

„მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
ერთმანერთსა ნახვიდნიან, საწადელნი გაუსრულდეს,
ბრძანებისა შემცილენი მათთა ზრმალთათ და-ვე-წყულულდეს,
მოიმატნეს სამეფონი, გახელმწიფდეს, გამორკმულდეს.
ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ჭვრიენი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მქნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან ძოვდეს“.

მართალია, სურათი იდეალიზებულია, მაგრამ XII საუკუნის კავკასიის შიდაპოლიტიკურ ვითარებას არსებითად შეესატყვისება.

ამგვარად, ზემოთქმულის შედეგად შეიძლება დავასკვნათ:

ქართულ სახელმწიფოებს (კოლხეთი და ივერია) წარმოქმნისთანავე თან დაჰყვათ სასიცოცხლო მნიშვნელობის სამი დიდი საგარეო პოლიტიკური პრობლემა:

1. ურთიერთობა მეზობელ ამიერკავკასიურ სახელმწიფოებთან.
2. ურთიერთობა კავკასიის მთიელებთან და იმიერკავკასიელ ველურებთან.
3. ურთიერთობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დიდ იმპერიებთან.

ყველა ეს პრობლემა, ცხადია, მჭიდროდ იყო ერთმანეთთან გადაჭაჭვული. სომხეთის სამეფო იმთავითვე პრეტენზიას აცხადებს ივერიის (და ალვანეთის) სამხრეთი ტერიტორიების მიმართ. მრვალსაუკუნოვანი ბრძოლის ფასად ივერიამ შეძლო მათი შენარჩუნება.

ქართულმა სახელმწიფოებმა შეძლეს აგრეთვე „აგრესიული მთის“ შემოტევის დაძლევა, აღმავალი ფეოდალური ურთიერთობების პირობებში მისი ეკონომიკური და კულტურული ათვისება და პოლიტიკური გავლენის გავრცელება იმიერკავკასიაზე.

ამის პარალელურად შინაგანი ფაქტობრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ქართულ სახელმწიფოებს მუდმივი დიპლომატიური ლავირება უხდებოდათ მათ მეზობლად არსებულ იმპერიებთან, რომელთა სავაჭრო და პოლიტიკური ინტერესები მნიშვნელოვანწილად ამიერკავკასიაში, როგორც სატრანზიტო ტერიტორიაზე, იხლართებოდა, რის გამოც ეს რეგიონი მათი გავლენის სფეროებად იყო განაწილებული.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნის დასაწყისიდანვე ქართულმა სახელმწიფოებმა პროდასავლური პოლიტიკური კურსი აირჩიეს, რისი შედეგიცაა IV ს-ში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, ხოლო 607/9 წლებში სომეხთაგან ეკლესიური გამიჯვნა.

არაბთა სახალიფოს პოლიტიკური დაშლის პროცესში ამიერკავკასიის ფეოდალურ სახელმწიფოებს ხელსაყრელი ვითარება შეექმნათ. IX-X საუკუნეებისთვის აშკარად შეიმჩნევა მთელი კავკასიის ერთ სამეფურნო და კულტურულ სამყაროდ გადაქცევის ტენდენცია, რომლის პოლიტიკურ რეალიზაციას ქართული და სომხურ ფეოდალური სამეფოები ცდილობენ. საბოლოოდ ეს დიდი ქიში ქართველთა სასარგებლოდ გადაიჭრა: XII ს-ის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა შეძლო ერთიანი ამიერკავკასიური სახელმწიფოს შექმნა და იმიერკავკასიის ვასალურ ურთიერთობაში მოქცევა. წარმოიქმნა ერთიანი კავკასიური სახელმწიფოებრიობა, დაფუძნებული არა ძალადობაზე, არამედ რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესთან ერთიანობაზე. ამას ხელს უწყობდა ქართველ სახელმწიფო მოღვაწეთა კულტურული ღონისძიებანი, მიმართული სხვადასხვა რელიგიური მრწამსის მიმდევარ ხალხთა თანაცხოვრების ოპტიმალური პირობების შექმნისაკენ. ქართველებმა შეძლეს შესაფერისი პრაქტიკული პოლიტიკური დოქტრინის გამომუშავება, რომელიც რეალურად ხორციელდებოდა.

ქრისტიანული და მაჰმადიანური სახელმწიფოების ეს მსოფლიოში უნიკალური სიმბიოზი დიდ საგარეო კატაკლიზმებს შეეწირა.

ამრიგად, პირველი და მეორე დიდი საგარეო პოლიტიკური პრობლემა შუა საუკუნეების საქართველოს დიპლომატიამ წარმატებით გადაჭრა, მაგრამ მესამე პრობლემა მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.